

## სინოპტიკური სიტუაციების როლი ატმოსფერული პროცესების ფორმირებაზე

გვანცა გვასალია

ელ-ფოსტა: [Gvantsa.Gvasalia969@ens.tsu.edu.ge](mailto:Gvantsa.Gvasalia969@ens.tsu.edu.ge)

გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი, 0179 საქართველო

თანამედროვე მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც ინტენსიურად მიმდინარეობს კლიმატის გლობალური ცვლილება. კლიმატის ცვლილების ტენდენცია განსაკუთრებით შეიმჩნევა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც, აღინიშნა ხშირი კლიმატური კატასტროფები. მეცნიერულად დადასტურდა, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მასშტაბით, ცალკეულ რეგიონში გამოიხატა საშუალო ტემპერატურის მატებით, მასთან დაკავშირებული ნალექების ინტენსივობის ზრდითა და ექსტრემალური მოვლენების სიხშირით. სინოპტიკური პროცესები განსაზღვრავენ ამინდის რეჟიმს და მისი ცვლილების ხასიათს, რის გამოც ის წარმოადგენს ერთ-ერთ კლიმატწარმომქმნელ ფაქტორს დედამიწის ზედაპირზე.

ნაშრომში (მაღალტექნოლოგიური რადარის METEOR735 CDP10-DOPPLER WEATHER RADAR გამოყენებით), გაანალიზებულია კონკრეტული სინოპტიკური პროცესები და მასშტაბები, კერძოდ: ა). 2015 წლის 13-14 ივნისს ქ. თბილისში სტიქიური უბედურების გამომწვევი სინოპტიკური პროცესი (რომელიც გამოწვეული იყო თავსხმა ნალექით); ბ). 2019 წლის 19-20 მაისს კახეთის ტერიტორიაზე, ძლიერი სეტყვის პროცესის, გამომწვევი სინოპტიკური პროცესის დეტალური ანალიზი; გ). ქ. თბილისში 2018 წლის 27 ივლისს, ნისლის (მტვრიანი დრუბელი) გამომწვევი (<< METEOR 735CDP10>> რადარის მონა-ცემებით) პროცესის ანალიზი და მონიტორინგის შედეგები.

ნაშრომში შეფასებულია, სინოპტიკური სიტუაციების როლი ატმოსფერული პროცესების ფორმირებაში, შესწავლილია გამომწვევი მიზეზები და მისი გავლენა მიმდებარე ეკოსისტემაზე. წარმოდგენილია, კონკრეტული რეგიონებისათვის დამახასიათებელი, მკვეთრად გამოხატული სინოპტიკური პროცესები და მასშტაბები (თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით), რაც პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასთან.

საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი უკავია სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს და რეკრეაციულ ზონებს, მათი განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ატმოსფერულ პროცესებზე განსაკუთრებით კი ექსტრემალური მოვლენების სიხშირეზე (თავსხმა წვიმების მეტეოროლოგიური პროგნოზი, სეტყვა და ჭექა-ქუხილი, ამინდის მოდიფიკაცია, კლიმატის ცვლილების შეფასება და სხვ.).